ივლისი, 2013

# სტრატეგიული პარტნიორობა ლგბტ საკითხებზე სამუშაოდ: რეალობა და გამოწვევები

მრგვალი მაგიდის მასალები

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი“ (WISG)
თბილისი, 2013

# შინაარსი

**ლბტ ქალთა მდგომარეობა საქართველოში: არსებული სიტუაციის მოკლე მიმოხილვა** **4**
ეკა აღდგომელაშვილი

**ლბტ ქალთა საკითხები ქალთა/**
**გენდერის საკითხზე მომუშავე ორგანიზაციების დღის წესრიგში** **8**
მკვლევარები: ანა ჭეიშვილი ლილი მამულაშვილი

**გენდერისა და ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები** **10**

**დანართი # 1. კვლევაში მონაწილე ორგანიზაციები** **15**

**დანართი #2. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ აქტივობების**
**მოკლე მიმოხილვა ლბტ ქალთა გაძლიერების მიმართულებით** **16**

# ლბტ ქალთა მდგომარეობა საქართველოში: არსებული სიტუაციის მოკლე მიმოხილვა

*ეკა აღდგომელაშვილი*

## კანონმდებლობის ანალიზი

ქვეყნის უზენაესი კანონი, საქართველოს კონსტიტუცია კრძალავს დისკრიმინაციას შესაბამის მუხლში[1] ჩამოთვლილი ფაქტორების საფუძველზე, როგორიცაა მაგალითად პირის ეროვნული და ეთნიკური წარმომავლობა, რელიგია, სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილება, სქესი და სხვ. სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა ამ საფუძველთა ჩამონათვალში ნახსენები არ არის. თუმცა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციაში ჩამოთვლილი საფუძვლების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და მოიცავს დისკრიმინაციის აკრძალვის ისეთ საფუძვლებსაც, რომლებიც პირდაპირ არ არის მასში ნახსენები[2].

2012 წელს საქართველოს პარლამენტმა მესამე და საბოლოო მოსმენით დაამტკიცა ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში, სადაც ჩამონათვალს, რომლის საფუძველზე ჩადენილი დანაშაული დამამძიმებელ გარემოებად ითვლება, ასევე დაემატა პირის სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა. აღნიშნული ცვლილება წინ გადადგმული ნაბიჯია ხელისუფლების მხრიდან, თუმცა ნებისმიერი საკანონმდებლო ცვლილების რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ის, თუ რამდენად ეფექტურად მუშაობს იგი პრაქტიკაში. რიგი გახმაურებული საქმეების მიუხედავად, დღემდე არ ყოფილა ამ მუხლის გამოყენების პრეცედენტი სამართალწარმოებაში.

საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს სიძულვილის ენის განმარტებას. საკითხი რეგულირდება მედიის თვითრეგულირების მექანიზმების - მაუწყებლის ქცევის კოდექსისა და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მეშვეობით, რომლებშიც ჩამოყალიბებულია მრავალფეროვნების გაშუქების პრინციპები (მოიცავს როგორც სქესს, ისე სექსუალურ ორიენტაციას) ისევე, როგორც დისკრიმი-ნაციული, შეურაცხმყოფელი განცხადებების გავრცელების შემთხვევაში ჟურნალისტის ეთიკური პასუხისმგებლობის საკითხები. როგორც მედია–კვლევები ადასტურებს, სიძულვილის ენის ფართოდ გამოყენება ლ(გ)ბტ ადამიანების მიმართ, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება საქართველოში[3].

სქესის შეცვლის სერვისები ლეგალურად ხელმისაწვდომია საქართველოში, მაგრამ ეს პროცესი ფაქტობრივად დაურეგულირებელია სახელმწიფოს მხრიდან და ცალკეულ სამედიცინო დაწესებულებების მიერ ჩამოყალიბებულ წესებსა და დამკვიდრებულ პრაქტიკაზეა დამოკიდებული. პრობლემები კვლავაც რჩება ტრანსგენდერთათვის ახალი დოკუმენტების მიღებასთან დაკავშირებით, სადაც შეცვლილი იქნება მონაცემები მათი სქესის შესახებ. ასევე გაუმართლებელია მინისტრის ბრძანების საფუძველზე დაწესებული ტოტალური აკრძალვა, რომელიც ვრცელდება ,,ჰომოსექსუალებზე", როგორც აივ/შიდსის რისკ-ჯგუფზე და მათ სისხლის დონორობას უკრძალავს[4]. ამგვარი ტოტალური აკრძალვა არაპროპორციულია და შეუსაბამო ადამიანის უფლებათა სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან.

კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ ზოგადად წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა ვინაიდან მასში გაწერილი არ არის კანონის აღსრულების მექანიზმი, იგი მეტწილად დეკლარაციული ხასიათისაა. გარდა ამისა, კანონი არ ითვალისწინებს ლბტ ჯგუფის საჭიროებებს

---

[1] საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 14

[2] საქართველოში ლბტ ქალთა მდგომარეობის ამსახველი ჩრდილოვანი ანგარიში CEDAW კომიტეტისათვის. WISG. თბილისი. 2012.

[3] ე. აღდგომელაშვილი. ჰომოფობიური სიძულვილის ენა და რეგულაციის მექანიზმები. „როგორ დავძლიოთ სიძულვილის ენა?" საჯარო პოლიტიკის დოკუმენტი. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი, 2012

[4] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №241/ნ. 2000 წლის 5 დეკემბერი

და შესაბამისად ნაკლებად შესაძლებელია ამ ეტაპზე მისი გამოყენება ლგბტ პირთა  უფლებების დასაცავად.

საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ პარტნიორთა ძალადობისაგან არ იცავს ლგბტ პირებს  ვინაიდან იგი ვრცელდება მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებზე. საქართველოში კი ქორწინება ერთი სქესის ადამიანთა შორის კანონით დაშვებული არ არის.

ამგვარად, საკანონმდებლო დონეზე კვლავაც რჩება ხარვეზები, რაც ლგბტ ადამიანებს არათანასწორ პირობებში აყენებს. მართალია უმრავლეს შემთხვევებში კანონი არ არის აშკარად დისკრიმინაციული, მაგრამ მათი გამოყენება იწვევს დისკრიმინაციულ შედეგებს პრაქტიკაში და მნიშვნელოვნად ზღუდავს ლ(გ)ბტ ადამიანების თავისუფლებებსა და უფლებებს. [5]

2013 წელს დაიწყო მუშაობა ანტი–დისკრიმინაციულ კანონზე. ივლისში, კანონპროექტი ხელმისაწვდომი გახდა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვისაც. იუსტიციის სამინისტრომ, რომელიც კანონპროექტის ავტორია, გამოთქვა მზაობა პარლამენტში წარდგენამდე გააცნოს კანონპროექტი საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მიიღოს და მოისმინოს შენიშვნები და რეკომენდაციები კანონპროექტთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე კანონპროექტზე მუშაობა გრძელდება სხვადასხვა ჯგუფებში და უცნობია, საბოლოოდ რა სახით შევა კანონპროექტი პარლამენტში დასამტკიცებლად.

### *კულტურული და სოციალური გარემო*

საქართველოში არ ჩატარებულა ფართომასშტაბიანი კვლევა, რომელიც გაზომავდა ჰომოფობიის ხარისხს ქვეყანაში. თუმცა, არსებობს ზოგადი ხასიათის კვლევები, რომლებიც სხვა ღირებულებებთან/საკითხებთან ერთად ჰომოსექსუალობის მიმართ დამოკიდებულებასაც ზომავენ.  CRRC–ს 2009-11 წლის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ „იმ ადამიანების რაოდენობა, ვინც ჰომოსექსუალიზმს მიუღებლად მიიჩნევს, უცვლელი რჩება - 90 პროცენტი“.[6]

ამგვარ სიტუაციაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სიძულვილის ენის ფართოდ გამოყენება ლგბტ პირთა მიმართ: ჯგუფის სტერეოტიპიზაცია, დაცინვა, მათი დახასიათება დევიანტებად, ავადმყოფებად. ღია თუ ფარული მოწოდებები დისკრიმინაციისაკენ კიდევ უფრო აღვივებს საზოგადოებაში არსებულ ნეგატიურ განწყობებს ჯგუფის მიმართ და ზრდის იმის რისკს, რომ ეს განწყობები ადვილად გადაიზარდოს ძალადობაში, როგორც ეს მოხდა 2012 და 2013 წელს აიდაჰოს საერთაშორისო დღის აღსანიშნავი მშვიდობიანი მსვლელობების დარბევისას.

 გარდა ამისა,  საქართველოში გენდერული უთანასწორობა და ასიმეტრია როგორც სოციალურ, ისე პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროებში საკმაოდ თვალშისაცემია. ჰომოფობიური და სექსისტური გარემო ლგბტ ჯგუფს ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად და მარგინალიზებულ ჯგუფად ხდის საქართველოში. ისინი, როგორც წესი, ორმაგი დისკრიმინაციის მსხვერპლნი ხდებიან როგორც სქესის, ისე სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის საფუძველზე.

### *ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობა ლგბტ პირთა მიმართ*

საზოგადოების მკვეთრად ნეგატიური განწყობა პირდაპირ აისახება ლგბტ ჯგუფის წევრებზე. 2012 წლის დისკრიმინაციის კვლევამ[7] ლგბტ ჯგუფში აჩვენა, რომ გამოკითხულთა (გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 150-მა ადამიანმა) 32%-ს ბოლო ორი წლის მანძილზე ერთხელ მაინც განუცდია ფიზიკური, 89,93%-ს კი ფსიქოლოგიური ძალადობა. საშუალოდ 134 რესპონდენტიდან, რომელსაც ფსიქოლოგიური ძალადობა განუცდია, 73.13%-ს მსგავსი ფაქტები გადახდომია სამჯერ

[5] Study on Homophobia, Transphobia and Discrimination on Grounds of Sexual Orientation and Gender Identity. Legal Report: Georgia by independent researcher Ana Natsvlishvili. COWI. 2010

[6] CRRC, Programme of Eurasia Foundation:. Knowledge and Attitudes toward the EU in Georgia. 2011

[7] ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. WISG.თბილისი. 2012

ან მეტჯერ, 13.43%-ს ორჯერ, ხოლო 13.43%-ს - ერთხელ. ამ მონაცემებს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ თუკი ადამიანი ერთხელ აღმოჩნდა მოწყვლადი, მასზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლა არ წყდება და ცოტა თუ ახერხებს ამ მანკიერი წრიდან თავის დაღწევას. ძალადობის ფორმებიდან რესპოდენტებმა გამოყვეს: სიტყვიერი შეურაცხყოფა (63%), დაცინვა, დამამცირებელი კომენტარები მათი მისამართით (84%), სიძულვილის ენის შემცველი წერილი მიუღია 20%-ს. ფიზიკური ძალადობის ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმებია ცემა (73%), სექსუალური ზეწოლა (14,6%) და სექსუალური ძალადობა (12,5%). ამასთან, კვლევაში მონაწილე 6-ვე რესპონდენტმა, რომელიც 16-18 წლამდე ასაკის კატეგორიას მიეკუთვნებიან, აღნიშნა, რომ სკოლაში ხშირად გამხდარა ბულინგის მსხვერპლი.

მიუხედავად არსებული მდგომარეობისა, საკმაოდ დაბალია სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიმართვიანობის მაჩვენებელი. სამართალდამცავთა მიმართ უნდობლობის გარდა, კვლევებმა აჩვენა, რომ ქამინაუთის შიში მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა ამ ადამიანებისთვის საკუთარი უფლებებისათვის ბრძოლაში. მათ კარგად იციან - სტატუსის გამჟღავნების შემთხვევაში შეიძლება დაემუქროთ სახლის, ოჯახის, თავშესაფრის დაკარგვა, გახდნენ ფიზიკური ძალადობის მსხვერპლნი[8]. 2010 წელს WISG–ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა 72.2%–ს ქამინაუთში ხელს საზოგადოების ნეგატიური დამოკიდებულება უშლის, რაც გამოიხატება უარყოფის, სოციალური იზოლაციის, მარგინალიზაციის შიშში[9].

2013 წელს, 17 მაისს, აიდაჰოს საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ორგანიზებული აქციის ვანდალური დარბევის დროს, ფიზიკური დაზიანება მიიღო აქციის 4–მა მონაწილემ. ხელისუფლების მხრიდან დაგვიანებულმა და არაადეკვატურმა რეაგირებამ წაახალისა ჰომოფობიით მოტივირებული დანაშაულის რიცხვის ზრდა. 17 მაისის მომდევნო დღეებში დაფიქსირდა არაერთი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისა და ანგარიშსწორების ფაქტები ლგბტ ადამიანების მიმართ ან იმ ადამიანებზე, რომლებიც მოძალადეთა აზრით მიეკუთვნებიან ამ ჯგუფს.

ამგვარად, საერთო დინამიკა შესაძლოა დახასიათდეს, როგორც მზარდი ჰომოფობიური განწყობა ქვეყანაში, რომელიც უშუალოდ აისახება ლგბტ ადამიანთა მდგომარეობაზე ქვეყანაში.

**ლ(გ)ბტ საკითხების აქტუალიზაცია ქალთა უფლებების/გენდერის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების დღის წესრიგში**

ქალთა მიმართ ძალადობა მჭიდროდ უკავშირდება მამაკაცურობისა და ქალურობის სოციალურ კონსტრუქტს. პატრიარქალური წარმოდგენები გენდერსა და გენდერულ ნორმებზე ერთი მხრივ მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისგან ქალურობასა და მამაკაცურობას და მეორე მხრივ, ხელს უწყობს ძალაუფლების არათანაბარ გადანაწილებას სქესის/ გენდერული მიკუთვნებულობის საფუძველზე.

საზოგადოებაში, რომელსაც მკვეთრი გენდრული ასიმეტრია ახასიათებს, აღიარებული გენდერული ნორმებისაგან მცირედი განსხვავებულობაც კი ხშირად იქცევა ძალადობისა და დისკრიმინაციის საფუძვლად. ამგვარ საზოგადოებებში ლბტ (ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი) ქალები ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ, რომლის წევრებიც ორმაგ დისკრიმინაციას განიცდიან როგორც სქესის, ისე სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის ნიადაგზე. ჩვენს ქვეყანაში ლბტ ქალები დღემდე რჩებიან ერთ–ერთ ყველაზე „უჩინარ“ ჯგუფად. შესაბამისად, აღურიცხავი და „შეუმჩნეველი“ რჩება მათ მიმართ ძალადობა როგორც ფართო საზოგადოებისათვის, ისე ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუციებისა და სახელმწიფო დონეზე.

მიუხედავად იმ ფუნდამენტური ცვლილებებისა, რაც ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ლგბტ საკითხების კუთხით ხორციელდება, საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიის მაღალი დონის გარდა, ლ(გ)ბტ ჯგუფის წევრთა დისკრიმინაციის შემთხვევებისა და რეალური მასშტაბების

[8] იხ.ზევით 5.

[9] სექსუალური და თვითდესტრუქციული ქცევების კვლევა ლბ ჯგუფში. WISG. 2010.

გამოვლენას ხელს უშლის ის ფაქტიც, რომ ჩვენს ქვეყანაში ლ(გ)ბტ უფლებები არ განიხილება უმცირესობათა და/ან ქალთა უფლებების კონტექსტში და იშვიათი გამონაკლისების გარდა, ლ(გ)ბტ საკითხები პრაქტიკულად ამოვარდნილია როგორც გენდერის საკითხებსა და ქალთა უფლებებზე, ისე უმცირესობათა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების დღის წესრიგიდანაც.

# ლბტ ქალთა საკითხები ქალთა/გენდერის საკითხზე მომუშავე ორგანიზაციების დღის წესრიგში

**მკვლევარები:**
ანა ჭეიშვილი
ლილი მამულაშვილი

კვლევაში გაწეული დახმარებისათვის განსაკუთრებული
მადლობა გვინდა გადავუხადოთ სოციალურ
მეცნიერებათა ცენტრის გენდერული მიმართულების
მკვლევარს,

**ელენე ჯაფარიძეს**

კვლევა განხორციელდა პროექტის: ლ(გ)ბტ ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება სამხრეთ კავკასიაში (ფინანსური მხარდამჭერი – COC Netherlands) ფარგლებში

## შესავალი

ლბტ საკითხების მეინსტრიმი ქალთა/გენდერის საკითხებში ქვეყანაში, WISG–ის ერთ–ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. ბოლო წლებში ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით (ლბტ ქალთა მდგომარეობის ამსახველი ჩრდილოვანი ანგარიშის მომზადება CEDAW კომიტეტისათვის, მრგვალი მაგიდა ქალთა ორგანიზაციებისათვის, 8 მარტისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში სხვადასხვა სოციალური ღონისძიებების ორგანიზება და სხვ). ორგანიზაცია წლებია, რაც აქტიურად თანამშრომლობს რამდენიმე ორგანიზაციასთან, თუმცა, მათი რიცხვი უცვლელი რჩება წლების განმავლობაში.

ამავდროულად, არსებობს რიგი საკითხები, სადაც შესაძლოა გადაიკვეთოს უფრო მეტი ორგანიზაციის ინტერესები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

პოტენციური სტრატეგიული თანამშრომლობა შეიძლება მოიცავდეს სამ სხვადასხვა დონეს:
1) ორგანიზაციებში არსებული სერვისები, რომლითაც შესაძლოა ისარგებლონ ლბტ ჯგუფის წარმომადგენლებმაც:

- უფასო კონსულტაციები/მომსახურება (იურისტი, ფსიქოლოგი, ექიმი, სოცმუშაკი სხვ)
- უფასო ტესტირების და/ან სამედიცინო პროგრამები (სგგი, აივ–შიდსი და სხვ)
- კვალიფიკაციის/ინფორმირებულობის ამაღლების პროგრამები ქალებისათვის/მარგინალიზებული ჯგიფებისათვის (ტრენინგები, ვორკშოპები ქალთა უფლებებზე, სექსუალურ და რეპროდუქციულ უფლებებზე, სგგი–ზე, გენდერზე, სექსუალობაზე, გამოცემები  და ა.შ.)
- საინფორმაციო რესურსები (ვებ–რესურსები, ბლოგები და სხვ.)
- სხვა (მაგ. სივრცე სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებისათვის, თავშესაფარი ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის...)

2) კვლევითი საქმიანობა, რომელშიც შესაძლოა გათვალისწინებული/ჩართული იქნას ლბტ კომპონენტი:

- კვლევები, რომლებიც სწავლობენ ქალთა უფლებრივ და სოციო–კულტურულ მდგომარეობას ქვეყანაში;
- საზოგადოების/ჯგუფების ინფორმირებულობასა და განწყობებს  ცალკეული ჯგუფების საკითხებზე/მიმართ და სხვ.

3) ადვოკაცია/ლობირება, რომელშიც შესაძლოა გათვალისწინებული/ჩართული იყოს ლბტ საკითხები:

- პერიოდული ჩრდილოვანი ანგარიშების მომზადება საერთაშორისო ინსტიტუციებისათვის;
- ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო გარემოსა და ეროვნული სამოქმედო გეგმების შეფასება;
- რეკომენდაციების მომზადება
- ლობირება – თანამშრომლობა სხვადასხვა საპარლამენტო კომიტეტებთან, პარტიებთან, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გამოცდილება და სხვ
- საზოგადოების/სტეიკჰოლდერების ინფორმირებულობის ამაღლება (ცნობიერების ამაღლების პროგრამები სექსუალურ და რეპროდუქციულ უფლებებთან, ქალთა უფლებებთან, გენდერულ თანსწორობასთან, ტოლერანტობის ხელშეწყობასთან და სხვ დაკავშირებით: ტრენინგები, ვორკშოპები, სხვადასხვა საგანმანათლებლო მედია კამპანიები და სხვ.)

პოტენციური სტრატეგიული პარტნიორების გამოსავლენად ქალთა უფლებებზე, გენდერის საკითხებსა და სექსუალურ და რეპროდუქციულ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებს შორის ლბტ ქალთა საკითხებზე სამუშაოდ, WISG–მა პროექტის: ლ(გ)ბტ ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება სამხრეთ კავკასიაში (ფინანსური მხარდამჭერი – COC Netherlands) ფარგლებში ჩაატარა მცირე ზომის შიდაორგანიზაციული კვლევა.

**კვლევის მიზანი:**
WISG–ის პოტენციური სტრატეგიული პარტნიორების გამოვლენა ქალთა უფლებებზე, გენდერის საკითხებსა და სექსუალურ და რეპროდუქციულ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებს შორის ლგბტ ქალთა საკითხებზე სამუშაოდ.

**<u>კვლევის მეთოდოლოგია</u>**
კვლევის მიზნების განსახორციელებლად გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი (კერძოდ, გამოყენებული იქნა ღია სტრუქტურირებული კითხვარი). კვლევის სამიზნე ჯგუფი შეირჩა კვლევის მიზნისა და სტრატეგიული თანამშრომლობის სხვადასხვა დონის/მიმართულების გათვალისწინებით. მთლიანობაში, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ქალთა უფლებებზე, გენდერის, სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე მომუშავე 24-მა ქალთა, 4-მა საერთაშორისო, 2-მა ლგბტ ორგანიზაციამ და სამმა კვლევითმა ინსტიტუტმა. კვლევაში ჩართული იყო საქართველოში მომუშავე 2 ფონდიც (იხ. დანართი #1). კვლევაში მონაწილეობდნენ ქალთა ორგანიზაციების, კვლევითი ორგანიზაციებისა და ფონდების წარმომადგენლები, უმეტესწილად, ხელმძღვანელები და ორგანიზაციაში პროექტების მართვაში ჩართული პირები.
ინტერვიუებისთვის შექმნილი გზამკვლევი შედგებოდა სამი ბლოკისგან:

პირველი ბლოკი მოიცავდა შეკითხვებს ორგანიზაციისმუშაობის პერიოდის, მიზნების, პარტნიორი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, სამიზნე ჯგუფების შესახებ; მეორე ბლოკი ეხებოდა ორგანიზაციაში არსებულ სერვისებს და ამ სერვისების მომხმარებლებს, ხოლო მესამე ბლოკი მოიცავდა შეკითხვებს ორგანიზაციის კვლევითი საქმიანობისა და ლობირების შესახებ.

ფონდების წარმომადგენლებთან ინტერვიუ განსხვავებული ინტევიუს გზამკვლევის გამოყენებით განხორციელდა ფონდებისთვის შედგენილი გზამკვლევი ორ ბლოკს მოიცავდა: პირველი ბლოკი ემთხვეოდა ორგანიზაციების კითხვარს, ხოლო მეორე ძირითადად ფოკისირებული იყო, ერთი მხრივ, ფონდის ხედვაზე გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში, მეორე მხრივ, ფონდის მიერ განოხრციელებულ, დაფინანსებულ ან წახალისებულ აქტივობებზე და ფონდის პრიორიტეტებზე. მეორე ბლოკში შედიოდა კითხვები, რომლებიც ეხებოდა ფონდის ხედვას უშუალოდ ლგბტ საკითხებისა და მათ თანამშრომლობას/მუშაობას ამ საკითხზე.

საველე სამუშაოები მიმდინარეობდა 2013 წლის 1 მარტიდან 10 აპრილამდე. თითოეული ინტერვიუ დაახლოებით 30-40 წუთი გრძელდებოდა და იწერებოდა აუდიო დიქტოფონზე. ანგარიში მომზადდა ჩანაწერების დეტალური გაშიფვრისა და ტრანსკრიპტების მომზადების საფუძველზე.

**შედეგების მოკლე აღწერა**

**<u>გენდერისა და ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაცები</u>**
გენდერის და ქალთა საკითხებზე მომუშავე, ისევე როგორც ლგბტ ორგანიზაციები ახორციელებენ სამუშაოებს შემდეგი მიმართულებით:

- ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა
- რეპროდუქციული და სექსუალური უფლებები
- ოჯახში ძალადობა, ადამიანის უფლებების დაცვა
- საზოგადოების ინფორმირება გენდერის და ქალთა საკითხებზე
- ძალადობის და წამების მსხვერპლთა რეაბილიტაცია
- საგანმანათლებლო საქმიანობა

გამოკითხული ორგანიზაციებიდან 2 ორგანიზაცია „დინამიკური ფსიქოლოგია განვითარებისა და დემოკრატიისთვის“ და „ქალთა განათლების და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი“ ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს.

ორგანიზაციების უმეტესობა ახორციელებს სერვისებს, ან/და აქვს რეფერალური სერვისები. ორგანიზაციების უმეტესობას გააჩნია ფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული, სამედიცინო და იურიდიული პირისპირი, სატელეფონო ან ონლაინ კონსულტაციები (კონსულტაციის ტიპი განისაზღვრება ორგანიზაციის პროფილით). ასევე საგანმანათლებლო და ინფორმირებულობის ამაღლებაზე მიმართული სერვისები: ტრეინინგები, სემინარები, საინფორმაციო ხასიათის ბროშურების გამოცემა, სალექციო კურსების შექმნა, დისკუსიები. ორმა ორგანიზაციამ დაასახელა, როგორც სერვისი წარმომადგენლობის გაწევა სასამართლოებში. რამდენიმე ორგანიზაციას შეუძლია სოციალური დახმარების გაწევა და სოც. მუშაკის მომსახურებით უზრუნველყოფა, სამი ორგანიზაცია ამარაგებს ბენეფიციარებს კონტრაცეპტივებით, ერთში კი არის -სგგი-ს და აივ შიდსის ტესტირება. ორმა ორგანიზაციამ დაასახელა, როგორც სერვისი ინგლისური ენის უფასო გაკვეთილები და ერთმა არტ თერაპია. ერთ ორგანიზაციას აქვს კრიზისული ცენტრი დელიქვენტური ქცევის მქონე ბავშვებისთვის გორში და ხის სათამაშოების სოციალური საწარმო ახალგზარდა პრობაციონერებისთვის, რომელიც ასევე რეგიონში მდებარეობს. რაც შეეხება თავშესაფრებს, ეს სერვისი აქვს სამ ორგანიზაციას.

***რამდენად მორგებულია ორგანიზაციაში არსებული სერვისები ლბტ ქალებზე?***

მიუხედავად სერვისების მრავალფეროვნებისა და იმისა, რომ გამოკითხულ ორგანიზაციებს მიუწოდებიათ სერვისი ლბტ ქალებისთვის, კონკრეტულად ამ ჯგუფის საჭიროებებზე მორგებული სერვისები ამ ეტაპზე არც ერთს არ აქვს. (რამდენიმე ორგანიზაცია მუშაობს უფრო ფართო პროფილით ლგბტ ჯგუფთან, შესაბამისად **მათი სერვისებიც მორგებულია მთლიანად ლგბტ ჯგუფზე და არა კონკრეტულად ლბტ ქალებზე**) რესპონდენტების უმრავლესობა ამბობდა, რომ მიაწოდებს სერვისს ლბტ ქალს თუ იგი ამავდროულად მიეკუთვნება მათ რომელიმე სამიზნე ჯგუფს.

ორგანიზაციები, რომლებმაც თავის უშუალო სამიზნე ჯგუფებად დაასახელა ლგბტ ჯგუფი არის ორგანიზაცია: „იდენტობა“, „სტუდიომობილი აქცენტი მოძრაობაზე“, „ლგბტ საქართველო“, „ჰერა XXI“, (ორგანიზაცია „თანადგომამ“ დაასახელა MSM-ები) ამ ორგანიზაციებიდან კონკრეტულად ლბტ ქალებზე მორგებული სერვისები ჰქონია მხოლოდ „თანადგომას“ 2 წლის წინ, როდესაც მათ უზრუნველყვეს უფასო პაპ-ტესტი და გინეკოლოგიური გამოკვლევა კონკრეტულად ლბტ ქალებისთვის, რომლებიც მათთან WISG-ის რეფერალური სერვისის მეშვეობით ხვდებოდნენ.

„სტუდიომობილი აქცენტი მოძრაობაზე“ დაკავებულია სოციალურ თემებზე ფილმების გადაღებით და ლბტ/ლგბტ საკითხებზე ორი ფილმი აქვს გადაღებული.

გამოკითხული რესპონდენტების უმრავლესობამ მათ ორგანიზაციაში დასაქმებული კადრები დაახასიათა, როგორც პროფესიონალი, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე, ადამიანის უფლებების მცოდნე და სენსიტიური ლგბტ საკითხების მიმართ, რაშიც, მათი აზრით, მდგომარეობს ორგანიზაციის სიძლიერე.

***კვლევითი საქმიანობა***

გამოკითხული ორგანიზაციები ჩართული არიან კვლევით საქმიანობაში, თუმცა მათი უმეტესობა არ არის დაკავებული კონკრეტულად ლბტ ქალთა საკითხების შესწავლით. გამონაკლისის სახით გამოიკვეთა რამდენიმე ორგანიზაცია:

„იდენტობამ“ ამ წლის იანვარში ჩაატარა სტუდენტური კონფერენცია, სადაც წარმოდგენილი იყო 20 კვლევა ლგბტ საკითხებზე, რომელთაგანაც უმეტესობა ფარავდა ლბტ ჯგუფს, ზოგი კი სპეციფიკურად ამ ჯგუფზე იყო კონცენტრირებული. აგრეთვე, „იდენტობას“ გაკეთებული აქვს კვლევები, რომელიც ეხება ქამინ აუთის და ხილვადობის პრობლემას. მომავალში ორგანიზაცია გეგმავს სპეციფიურ, კონკრეტულ პრობლემებზე კვლევების განხორციელებას: განათლების სფეროში, ქალთა საკითხებზე, ლგბტ ადამიანების მდგომარეობაზე რეგიონებში, სკოლაში ბულინგზე და ა.შ.

ორგანიზაციამ ”ჰერა XXI” , რომლის პროფილს არ წამოადგენენ ლბტ ქალები, გააკეთა ლგბტ ჯგუფის საჭირობების შესწავლა, რომლის დროსაც აქცენტი სწორედ ლესბოსელ ქალებზე გაკეთდა.

ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი“ ახორციელებს მცირე მასშტაბის კვლევებს კონკრეტული საქმეების სამართლებრივი ანალიზის სახით. „თანადგომა“ ატარებს კვლევებს ტრანსგენდერებზე და აივ ინფექციაზე, კვლევა ფარავს ამირკავკასიას და რა თქმა უნდა, ნაწილობრივ ითვალისწინებს ლბტ ჯგუფსაც. „ქალთა საინფორმაციო ცენტრმა“ CEDAW-ს კომიტეტისთვის განკუთვნილ ჩრდილოვან ანგარიშში გამოიყენა WISG-ის კვლევები, თუმცა დამოუკიდებლად არ ახორციელებს კვლევებს ამ მიმართულებით.

***რესპოდენტთა ხედვა ლბტ ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ქვეყანაში***

ორგანიზაციების უმეტესობა, საქართველოში ლბტ ქალების მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად, საზოგადოებაში ინფორმირებულობის ამაღლებას მიიჩნევს. მდგომარეობის გაუმჯობესების წინაპირობად აგრეთვე დასახელდა: თემის ხილვადობის გაზრდა და ზოგადად ლბტ ქალების სამოქალაქო აქტივიზმში ჩართვა, უშუალოდ ჯგუფის გაძლიერება, მათი საჭიროებების შესწავლა.

***მზაობა ლბტ საკითხებზე სამუშაოდ***

იმ ორგანიზაციების გარდა, ვინც უკვე მუშაობს ლბტ ჯგუფთან/საკითხებზე, ძირითადად ყველა რესპონდენტი ამბობს, რომ დაინტერესებულია ლბტ ქალების საკითხებით და გამოთქვამენ მომავალში თანამშრომლობისა და ამ საკითხზე მუშაობის სურვილსა და შესაძლებლობას.

<u>კვლევითი ორგანიზაციები</u>

კვლევაში მონაწილეობა სამმა კვლევითმა ორგანიზაციამ მიიღო: „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“, „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი“ და „საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი“. მათი პრიორიტეტებია:

- საქართველოში აკადემიური და გამოყენებითი სოციალური მეცნიერებების განვითარება;
- საერთაშორისო აკადემიურ ქსელში ქართველ მკვლევართა ინტეგრირება;
- სოციალურ მეცნიერებებში პროფესიული და ეთიკური სტანდარტების დანერგვა;
- მონაცემებზე დაფუძნებული კვლევისა და სწავლების ხელშეწყობა;
- აგრეთვე საქართველოში საზოგადოებრივი პოლიტიკის თანამედროვე კონცეფციებისა და პრაქტიკის დანერგვა და სასარგებლო ინფორმაციის მოგროვება პოლიტიკის შემუშავებისთვის.

კვლევით ორგანიზაციებს არ აქვთ ლბტ საკითხებზე განხორციელებული კვლევები. მათი აზრით, ეს დიდწილად განპირობებულია ამ ჯგუფის უხილავობით და ასევე ლბტ საკითხების მიმართ საზოგადოების ნაკლები ინტერესით.

***რესპოდენტთა ხედვა ლბტ ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ქვეყანაში***

ლბტ ქალების მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის, რესპონდენტებს საჭიროდ მიაჩნიათ პირველ რიგში ჯგუფის ამჟამინდელი მდგომარეობის შესწავლა. ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ უნდა გაიზარდოს საზოგადოების ინფორმირებულობა ამ საკითხთან დაკავშირებით.

***მზაობა ლბტ საკითხებზე სამუშაოდ***

კვლევითი ინსტიტუტები ამ ეტაპზე არ არიან დაინტერესებული კონკრეტულად ლბტ საკითხებზე მუშაობით, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ მომავალში განახორციელონ კვლევები ამ მიმართულებით. სამივე ორგანიზაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ორგანიზაცია მზად არის თანამშრომლობისთვის.

**ფონდები**

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოიკითხა „ქალთა ფონდი საქართველოში“ და „ფონდი ტასო“.

„ქალთა ფონდი საქართველოშის“ წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად ყველაზე მეტი ყურადღება გენდერული თანასწორობისა და ქალთა საკითხებთან დაკავშირებით ოჯახში ძალადობას ეთმობა, თუმცა, მისი აზრით, ეს არ ნიშნავს, რომ ეს საკითხი საფუძვლიანად არის შესწავლილი. ხოლო ნაკლები ყურადღება ეთმობა ფემინიზმს.

ფონდი „ტასოს“ წარმომადგენლის აზრით, ზოგადად გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებს საქართველოში ნაკლები ყურადღება ეთმობა, თუმცა ყველაზე ნაკლებად აქცენტი ქალთა ეკონომიკურ განვითარებაზე კეთდება.

რაც შეეხება ლბტ საკითხებს, ორივე ფონდის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი ინფორმირებული არიან ამ საკითხებზე ამ თემაზე მომუშავე ორგანიზაციებისგან: იღებენ კვლევების შედეგებს WISG-ისგან, ეცნობიან კვლევებს ლგბტ ორგანიზაციების ვებ საიტებზე ან აქვთ უშუალო შეხება ლბტ თემთან.

„ქალთა ფონდმა საქართველოში“ აქვს ცალკე ლოტი, რომელიც ლბტ ქალთა გაძლიერებაზეა მიმართული და შესაბამისად, დააფინანსებული აქვს თემატურ პროექტებზე შემოსული განაცხადები. ფონდ „ტასოს“ აქამდე არ ჰქონია პროექტი ამ მიმართულებით, მაგრამ მათი სოლიდარობა გამოიხატება ქუჩის აქციებში მონაწილეობაში, ინფორმირებულობასა და თანამშრომლობის სურვილში.

***რესპოდენტთა ხედვა ლბტ ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ქვეყანაში***

სამომავლოდ ლბტ ქალების მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით ფონდი „ტასოს“ წარმომადგენლის აზრით, საჭიროა სიღარიბის დაძლევა და საზოგადოებაში ინფორმირებულობის გაზრდა. ქალთა ფონდის საქართველოშის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნდა გაიზარდოს ინფორმირებულობა ლბტ საკითხებზე ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციებში.

***მზაობა ლბტ საკითხებზე სამუშაოდ***

ორივე ფონდის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ დაინტერესებულია ლბტ საკითხებზე მუშაობით. ფონდ „ტასოს“ წარმადგენელი აღნიშნავს, რომ მათ 2014 წლამდე გაწერილი აქვთ გეგმა, რომელიც არ მოიცავს ლბტ ქალთა საკითხებს. ამიტომ შესაძლოა ფონდმა ვერ მოახერხოს ამ მიმართულებით პროექტის დაფინანსება. ფონდ „ტასოს“ აქამდე არ ჰქონია პროექტი ამ მიმართულებით, მაგრამ მათი სოლიდარობა გამოიხატება ქუჩის აქციებში მონაწილეობაში, ინფორმირებულობასა და თანამშრომლობის სურვილში.

**საერთაშორისო ორგანიზაციები/ფონდები**

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოიკითხა ოთხი საერთაშორისო ორგანიზაცია: “UNWOMEN”, “UNFPA”, “ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიურო” და “Kvinna till kvinna”.

გამოკითხული საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ ხელს უწყობდნენ ლბტ თემის საკითხების წინ წამოწევას, დისკრიმინაციასთან ბრძოლას, რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების, გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრირებას შესაბამის სახელმწიფო პოლიტიკასა და პროგრამებში, სამოქმედო გეგმებში.

საერთაშორისო ორგანიზაციების ყველა წარმომადგენელმა აღნიშნა, ამჟამად ყველაზე კარგად შესწავლილი საკითხი გენდერული თანასწორობისა და ქალთა მიმართ საკითხებთან დაკავშირებით ოჯახში ძალადობაა.

აგრეთვე, რესპონდენტების აზრით, კარგადაა შესწავლილი: ქალთა პოლიტიკური უფლებამოსილების გაზრდა, უმცირესობათა უფლებები (აქტივიზმის დონეზე), ქალთა როლის გაძლიერება ჩვენს ქვეყანაში მშვიდობის მშენებლობის და კონფლიქტის მოგვარების საქმეში,

რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები, სოფლად მცხოვრები ქალების განვითარება, პოლიტიკის შექმნა (თუმცა ამაში არ მონაწილეობს სამოქალაქო საზოგადოება).
რესპოდენტების აზრით, ნაკლები ყურადღება ექცევა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ლგბტ საკითხები, ეთნიკური უმცირესობის ქალთა საკითხები და ზოგადად საზოგადოების განწყობის შეცვლა გენდერული თანასწორობის მიმართულებით.
რაც შეეხება ლბტ  საკითხებზე მუშაობას,  „ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიურო“ ხელს უწყობს ლგბტ საკითხებთან დაკავშირებული კვლევების განხორციელებას. ორგანიზაცია ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ეს თემა საჯარო დისკუსიის საგანი გახადა, იგი ხშირად მასპინძლობს დისკუსიას ჰომოფობიისა და სიძულვილის ენის შესახებ. „UNFPA“ არ აცხადებს საგრანტო პროგრამებს, მაგრამ იგი პარტნიორობის გაძლიერების მიმართულებით მუშაობს.
„Kvinna till kvinna“-სთვის ლბტ საკითხები მნიშვნელოვანია, რამდენადაც ლბტ განსაკუთრებით მოწყვლადი ქალების ჯგუფია. მას ამ ეტაპზე მცირე გრანტების გაცემა შეუძლია ამ მიმართულებით.
„UNWOMEN“-სთვის ეს საკითხი ამ ეტაპზე არ წარმოადგენს მთავარ პრიორიტეტს, ხელშეწყობა გამოვლინდება მათი მხარდაჭერით 17 მაისს  IDAHO-ზე, ქუჩის აქციის გამართვის შემთხვევაში. ორგანიზაციის წარმომადგენლები შეუერთდებიან მსვლელობას.

<u>საბოლოო დასკვნა</u>
„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ მიერ ჩატარებული კვლევიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოკითხულ ქალთა უფლებებზე, გენდერის, სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების, ფონდების და კვლევითი ინსტიტუციების უმეტესობისთვის ლბტ საკითხები ამ ეტაპზე ნაკლებ პრიორიტეტულია.
ორგანიზაციების უმეტესობას არ აქვს სერვისები, რომელიც მორგებული იქნებოდა კონკრეტულად ლბტ ქალების საჭიროებებს. თუმცა, მათი სრული უმრავლესობა მზად არის დაეხმაროს ლბტ ქალს იმ შემთხვევაში თუ იგი გადაკვეთს მათ რომელიმე სამიზნე ჯგუფს.
**ორგანიზაციების უმეტესობა, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ვერ ითვალისწინებს ლბტ ქალთა სპეციფიკას, ან წარმომადგენლებს არ მიაჩნიათ, რომ ლბტ ქალების სპეციფიკის გათვალისწინება მუშაობის დროს საჭიროებას წარმოადგენს. შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხების არ ცოდნა განაპირობებს ლბტ ქალების სპეციფიკის გაუთვალისწინებლობას.** ორგანიზაციების უმეტესობა ასევე არ არის დაკავებული ლბტ საკითხების კვლევით, თუმცა დაინტერესებულია ამ საკითხით და მზადაა თანამშრომლობისთვის. ორგანიზაციის წარმომადგენლების უმეტესობა მიიჩნევს ლბტ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების წინაპირობად ხილვადობის გაზრდას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, კვლევის ჩატარებას და ა.შ.
რაც შეეხება კვლევით ორგანიზაციებს, მათ ამ მიმართულებით არ განუხორციელებიათ კვლევები და **ამ ეტაპზე არ არიან დაინტერესებული** კონკრეტულად ლბტ საკითხებზე მუშაობით. ლბტ ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის მიაჩნიათ, რომ უნდა გაიზარდოს საზოგადოების ინფრომირებულობა ამ მიმართულებით, განხორციელდეს კვლევები, რომელიც შეისწავლის ლბტ ქალების ამჟამინდელ მდგომარეობას ქვეყანაში და გაიზარდოს თემის ხილვადობა. **ორგანიზაციები მზად არიან თანამშრომლობისთვის** და შესაძლოა მომავალში მოიცვან ლბტ საკითხები.
ქალთა ორგანიზაციებთან შედარებით, ფონდებისა და საერთაშირისო ორგანიზაციებისთვის ლბტ საკითხები **მეტ-ნაკლებად** პრორიტეტულია.

## დანართი № 1. კვლევაში მონაწილე ორგანიზაციები

1. ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი
2. გენდერმედიაკავკასია
3. გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში
4. დინამიკური ფსიქოლოგია განვითარებისა და დემოკრატიისთვის
5. იდენტობა
6. ინვალიდ-მეომართა და დაღუპულ მებრძოლთა მეუღლეთა კავშირი
7. კავკასიური ფემინისტური ინიციატივა
8. კონსტიტუციის 42-ე მუხლი
9. ლგბტ საქართველო
10. საერთაშორისო ფონდი ლეა, ებრაელ ქალთა საბჭო
11. საინფორმაციო სამედიცინო- ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“
12. საფარი
13. საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია
14. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია
15. საქართველოს ფსიქო-სოციალური ასოციაცია „ნდობა“
16. სტუდიომობილი-აქცენტი მოძრაობაზე
17. ქალთა განათლების და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი
18. ქალების ინიციატივა თანასწორობისთვის
19. ქალთა კლუბი „პეონი“
20. ქალთა მოძრაობა თანასწორობისთვის
21. ქალთა საინფორმაციო ცენტრი
22. ქალთა საინფორმაციო ცენტრი „სახლი“
23. ქალთა ცენტრი
24. ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი
25. წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრი „ ემპათია“
26. ასოციაცია „ჰერა XXI“

**კვლევითი ორგანიზაციები**

1. საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი
2. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი
3. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

**საერთაშორისო ორგანიზაციები/ფონდები**

1. ფონდი „ტასო“
2. ქალთა ფონდი საქართველოში
3. ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიურო
4. UNWOMEN
5. UNFPA
6. The kvinna till kvinna foundation

## დანართი №2. „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ აქტივობების მოკლე მიმოხილვა ლბტ ქალთა გაძლიერების მიმართულებით

გენდერისა და სექსუალობის საკითხებზე მუშაობა „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფმა“ (WISG) 2002 წელს დაიწყო. პირველი პროექტი ითვალისწინებდა ქართულენოვანი ვებ–რესურსის შექმნას გენდერისა და სექსუალობის საკითხებზე. საიტზე განთავსებული იყო სამეცნიერო პოპულარული შინაარსის მასალები გენდერის, სექსუალობის, ჰომოფობიის საკითხებზე, ტერმინოლოგია, ინფორმაცია საქართველოში ჩატარებული კვლევების შესახებ და სხვ. აღნიშნული ვებ–გვერდი დღესაც ფუნქციონირებს (minority.ge).

2003 წლიდან დღემდე, WISG-ი ახორციელებს ჰომოფობიური სიძულვილის ენის კვლევას ქართულენოვან მედიაში.

2005 წელს, „ქალთა გლობალური ფონდის“ ხელშეწყობით, WISG-მა დაიწყო მუშაობა ლბ ქალთა ზეპირი ისტორიების მოგროვებაზე. ამავე პროექტის ფარგლებში მომზადდა პირველი ლგბტ ონლაინ ჟურნალი; მოკლე ანგარიში ქვეყანაში ლგბტ ჯგუფის მდგომარეობის შესახებ.
2007-2010 წლებში, WISG-ი, როგორც ლბტ ქალებთან მომუშავე ორგანიზაცია ჩართული იყო COC Netherland–ის მიერ დაფინანსებულ 5 წლიან პროექტში, ჯერ საინიციატივო ჯგუფის, 2010 წლიდან კი ნაციონალური პარტნიორის სტატუსით. აქტივობები მოიცავდა: შეხვედრების ციკლის, სოციალური ღონისძიებების ორგანიზებას თემის წევრებისათვის, საინფორმაციო და ვებ–რესურსების განვითარებას, საკონსულტაციო და ჯანმრთელობის სერვისების უზრუნველყოფას, ჯგუფის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლებას და სხვ.
2010 წლიდან WISG-ის ქალთა პროგრამის მთავარი მიზანია ლბტ ქალების მხარდაჭერა უფლებებსა და ცხოვრების ყველა სფეროში ჩართულობაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ჯგუფის გაძლიერების, ადვოკატირების და ლბტ ჯგუფის მიმართ საზოგადოებაში ტოლერანტობის გაზრდის გზით.

მიზნის მისაღწევად, WISG-ი, მუშაობს ოთხი სტრატეგიული მიმართულებით:

ლბტ თემის გაძლიერება
ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობა
საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ლბტ საკითხების მიმართ
საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და აღსრულების მექანიზმების გაუმჯობესება

ჯგუფის სპეციფიკისა და ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, WISG-ის მიერ ორგანიზებული რეგულარული შეხვედრების ორგანიზება ქომუნითის წევრებისა და მათი მხარდამჭერებისათვის დღემდე აქტუალურია. ეს შეხვედრები ერთი მხრივ ეხმარება ჯგუფის წევრებს სოციალიზაციაში და ინტერნალიზებული ჰომოფობიის დაძლევაში, მეორე მხრივ საშუალებას იძლევა მხარდამჭერებთან ერთად უფრო აქტიურად იყვნენ ჩართული როგორც ორგანიზაციის აქტივობებში, ისე დამოუკიდებელი, ქომუნითიდან ინიცირებული ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში.
2007 წლიდან, WISG-ი რეგულარულად აწყობს სხვადასხვა აქციებს, რომელშიც აქტიურად არიან ჩართული ქომუნითის წევრები: ფოტოგამოფენები, ფლეშ–მობები, ფილმების ფესტივალები, მრგვალი მაგიდები და სხვ.
WISG-ის ერთ–ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა. WISG-ის მიერ ორგანიზებული უფასო საკონსულტაციო სერვისი ფსიქოლოგთან და სექსოლოგთან 2007 წლიდან მუშაობს. თავდაპირველად WISG-ის კონსულტაციები ონლაინ რეჟიმში მიმდინარეობდა, რომელიც მოგვიანებით, პირისპირ

კონსულტაციებით ჩანაცვლდა. მუშაობს ასევე რეფერალური სისტემაც – ამ მხრივ WISG-ს აქვს „თანადგომასთან“ თანამშრომლობის ხანგრძლივი გამოცდილება. სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე საინფორმაციო მასალების შემუშავება–გავრცელების გარდა, WISG-ი სისტემატურად აწყობს ვორქშოპებს ქომუნითის წევრებისათვის ამ საკითხებზე, ატარებს კვლევებს (სექსუალური და თვითდესტრუქციული ქცევების კვლევა ლბ ჯგუფში. WISG. 2010.)

ქომუნითის წევრები ჩართული არიან ორგანიზაციის აქტივობებშიც (ვებ–გვერდებისათვის ინფორმაციის მომზადება–განახლება, საინფორმაციო რესურს–ცენტრის მუშაობა, ელექტრონული ბიულეტენის მომზადება და სხვ.) სპეციალურად ჯგუფის წევრებისა და მათი მხარდამჭერებისათვის ტარდება სხვადასხვა ტრენინგები აუთრიჩისათვის საჭირო კომუნიკაციური უნარ–ჩვევების განვითარებაზე, უფლებებზე, სამოქალაქო აქტივობებზე, პროექტის წერასა და მართვაზე და სხვ.

„ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფს“ ეკუთვის სამი ვებ–გვერდი, რომელთაგან ერთი ორგანიზაციის მიერ გაწეულ მუშაობას ასახავს (www.women.ge), მეორე ვებ–გვერდის ძირითადი დანიშნულება ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოებისათვის ლგბტ და ქალთა უფლებების თემაზე არსებული სიახლეების მიწოდებაა (www.lesbi.org.ge), ხოლო მესამეზე - www.minority.ge - განთავსებულია სამეცნიერო–პოპულარული ხასიათის სტატიები, სამეცნიერო ტერმინოლოგია, ინფორმაცია საქართველოში ჩატარებული კვლევების შესახებ.

2011 წელს WISG-მა დაიწყო საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის გამოცემა - „საფოს დღიურები“, რომელიც 100–ზე მეტ ადრესანტს ეგზავნება.

2010 წლიდან WISG-მა გააძლიერა მუშაობა ადვოკაციის მიმართულებით:

ადვოკაციის თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სარჩელი, „რომელიც კონსტიტუციის 42–ე მუხლისა“ და “ინტერაითსთან“ ერთად მომზადდა და წარდგენილია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (Application no. 7224/11). უნდა აღინიშნოს, რომ ეს საქართველოდან ევროსასამართლოში გაგზავნილი პირველი საქმეა, რომელიც პოლიციის ჰომოფობიურ ქცევას ეხება. დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ საქმის განხილვას მნიშვნელოვანი გავლენა ექნება საქართველოში ლბტ ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და მომავალში შესაძლებელი იქნება მისი გამოყენება, როგორც პრეცედენტული ქეისისა.

2010-12 წლებში, WISG-მა მოამზადა რამდენიმე მნიშვნელოვანი ანგარიში, რომელიც ასახავს როგორც ლ(გ)ბტ პირთა მდგომარეობას ქვეყანაში, ასევე სახელმწიფოს მიერ სოგი–ს საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრასთან დაკავშირებული აქტივობების შეფასებას: ლგბტ ადამიანთა მდგომარეობა საქართველოში. (WISG.თბილისი. 2012); საქართველოში ლბტ ქალთა მდგომარეობის ამსახველი ჩრდილოვანი ანგარიში CEDAW კომიტეტისათვის. (WISG. თბილისი. 2012.) CM/Rec(2010)5 რეკომენდაციის იმპლემენტაციის მონიტორინგი საქართველოში. (WISG. თბილისი. 2012.)

ამავდროულად, მედიის განვითარების ფონდის (MDF Georgia) პროექტის – „მედია მონიტორინგი – პროფესიული მედიისათვის“ – ფარგლებში, „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ ერთ–ერთმა წევრმა ჩაატარა კვლევა, რომელიც ითვალისწინებდა გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის გაშუქების მონიტორინგს ქართულენოვან მედიაში 2011 წელს (მაისი, ნოემბერი); WISG-ი ჩართული იყო სიძულვილის ენის საჯარო პოლიტიკის დოკუმენტის მომზადებაში (ჰაინრიხ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიურო. 2012). გამოსაცემად მზადდება ლგბტ საკითხების გაშუქების სახელმძღვანელო ჟურნალისტებისათვის და 2007-12 წლების მედია მონიტორინგის ანგარიში.

WISG-ი ამჟამად მუშაობს 2013 წლის 17 მაისის ქეისების ადვოკატირებაზე, ჩართულია ანტი–დისკრიმინაციული კანონპროექტის რეკომენდაციებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფში.

**ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ**

”ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი” **(WISG)** წარმოადგენს არაკომერციულ, არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც 2000 წლის 29 ივნისს დააფუძნა 8 სხვადასხვა პროფესიის ქალმა.

**ჩვენი ხედვაა** სამართლიანი და დემოკრატიული საზოგადობა, რომელშიც ყველა ქალისათვის უზრუნველყოფილი იქნება თანაბარი მონაწილეობა ცხოვრების ყველა სფეროში.

**მისია:** დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერა საქართველოში; კულტურული, სოციალური და ეკონომიკური გარემოს გაჯანსაღება ქალთა თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერის გზით.

ორგანიზაციის **ძირითადი საქმიანობაა** ქალთა თავისუფალი ინციატივების მხარდაჭერა, მათი გაძლიერება ორგანიზაციების, ქსელების, გაერთიანებების ჩამოყალიბებისა და შექმნის გზით.

ორგანიზაცია არის რამდენიმე ადგილობრივი და საერთაშორისო ქსელის წევრი: **აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული პლატფორმა; AWID** (ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციათა საერთაშორისო ფემინისტური ასოციაცია); **ILGA-EUROPE** (ლგბტ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციათა გაერთიანება ევროპულ დონეზე); **IGLYO** (საერთაშორისო გეი–ლესბი ახალგაზრდულ ორგანიზაციათა გაერთიანება).

დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ორგანიზაციის ვებ–გვერდს:
www.women.ge